სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 თებერვალი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/12

ბსუ-ს პროფესორ ვანო პაპუნიძის შოთა რუსთაველის სახელობის მედლით დაჯილდოების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, „შოთა რუსთაველის სახელობის მედლის“ დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №122 დადგენილების, ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№26-05/02, 07.02.2025) ამონაწერისა და ამავე ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 25 0000124538, 07.02.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის **პროფესორი ვანო პაპუნიძე,** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის და 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს უნივერსიტეტის საპატიო ჯილდოთი – გადაეცეს შოთა რუსთაველის სახელობის მედალი.
2. ბსუ–ს რექტორის აპარატს დაევალოს წინამდებარე დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს ვანო პაპუნიძეს, ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, ბსუ-ს რექტორის აპარატს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**